

# უცხო ენის შესწავლის მოტივაცია შსს აკადემიაში

ავტორი: ნათია ქებურია

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე, მოწვეული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ქებურია

27.06.2016

## აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი ეხება საკმაოდ აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხს, უცხო ენის სწავლის მოტივაციას, კერძოდ შსს აკადემიაში. კვლევის მიზანია აღნიშნული სასწავლებლის სტუდენტთა და პროფესიულ საგანმანათლებლო კურსების მსმენელთა მოტივაციის შესწავლა და სასწავლებლისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევა ჩატარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, სადაც ფუნქციონირებს უმაღლესი განათლების შესაბამისი ბაკალავრიატის და სამაგისტრო პროგრამები და ასევე, სპეციალური პროფესიული სასწავლო პროგრამები (საპატრულო პოლიციის, უზნის ინსპექტორთა და სასაზღვრო პოლიციის ფაკულტეტი). ზემოთ აღნიშნული პროგრამები გულისხმობს მხოლოდ სამართალმცოდნეთა მომზადებას მათი შემდგომი პროფესიული საქმიანობისათვის. თითოეული გამოკითხული ჯგუფი შედგებოდა 30 სტუდენტის/მსმენელისაგან, რომელთა ასაკიც მერყეობს 19-დან 50 წლამდე. გამოვიყენე შერეული კვლევის მეთოდი, ანუ, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევა.

კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ შსს აკადემიის ენის ცენტრი ეფექტურად ახორციელებს უცხო ენის სწავლებას, თუმცა გამოიკვეთა პროფესიული პროგრამების მსმენელთა მოტივაციის პრობლემა, რომლებიც ნაკლებად ხედავენ უცხო ენის სწავლის საჭიროებას მათი პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში.

**კვლევის პრაქტიკული მხარე** მდგომარეობს შემდეგში: როკომენდაციები გამოყენებულ იქნას უცხო ენის სწავლის მოტივაციის დონის ამაღლებისა და სწავლების უფრო ეფექტურად განხორციელებისათვის.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** უმაღლესი და სპეციალური განათლება, პროფესიული განათლება.

## **Abstract**

The research is about quite topical and important issue, foreign language learning motivation, specifically at the MIA Academy of Georgia. Main aim of the research is to learn foreign language learning motivation of the students and cadets of the above mentioned academy and to work out some recommendations for future improvement.

The research was made at the academy where there are faculties of bachelor and master programs and special professional courses (for patrol police, neighborhood police and border police). These programs are made for law specialists, to prepare them for their future professional activities.

Each group consisted of 30 students/cadets, ages included 19-50 years.

Research methods I used: mixed research method, quantitative and qualitative researches.

The research showed that the center of the Academy of language is effectively implementing foreign language teaching, though, there is a problem with motivation of cadets, who are less likely to see the need for learning a foreign language in their practical implementation.

**The practical side of the research is as follows:**

Recommendations should be used to raise the level of foreign language learning motivation and for more effective teaching.

**The main keywords: higher and special education, vocational education.**